

GMUS გრანტების მენეჯმენტის ერთიან სისტემაში მუშაობის დროს ხშირად დასმული შეკითხვები

1. როგორ ხდება GMUS სისტემაში account-ის რეგისტრაცია და შესვლა?

*ფონდის ახალ სისტემაში შესასვლელად პირველ რიგში უნდა გაიაროთ რეგისტრაცია GMUS.RUSTAVELI.ORG.GE-ზე, რის შემდეგაც მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მოგივით წერილი და შემდეგ თქვენი account-ის გააქტიურებას.

ყოველი შემდგომი შესვლისათვის უნდა შეხვიდეთ GMUS.RUSTAVELI.ORG.GE-ზე, სადაც დაგხვდებათ ორი შესავსები ველი, ზედა ველში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი ან ელ.ფოსტა (*ორივეს მითითება არ შეიძლება*), ხოლო მეორე ველში ჩაწერეთ პაროლი, რომელიც მიუთითეთ რეგისტრაციის დროს. შემდეგ დააწექით ავტორიზაციის ღილაკს.

2. როგორ მოვიქცეთ, თუ რეგისტრაციის დროს სისტემა უთითებს შეცდომას და ითხოვს პირადი ნომრის და დაბადების წლის სწორად შეყვანას?

*პირველ რიგში, გადაამოწმეთ, რომ სწორად გაქვთ შეყვანილი 11 ნიშნა პირადი ნომერი. ასევე გადაამოწმეთ, რომ იმ ველში, სადაც მოთხოვნილია დაბადების წელი, შეყვანილი გაქვთ მხოლოდ დაბადების წელი და არა სრული თარიღი.

3. პროფილის შევსებისა და დამახსოვრების შემდეგ არ ჩანს ღილაკი Submit.

*Submit ღილაკი პროფილებიდან ამოღებულია მეცნიერთა მოთხოვნის საფუძველზე. დამახსოვრებული პროფილი სავმარისია იმისათვის, რომ შეძლოთ თქვენი CV-ის PDF ფორმატში ამოღება და პროექტში ატვირთვა.

4. როგორ მოვიქცეთ, თუ მეცნიერი შეცდომით დარეგისტრირდა ორგანიზაციად და სისტემა აღარ იძლევა მეცნიერად დარეგისტრირების საშუალებას?

*მიმართეთ ფონდს, არსებული მონაცემები წაიშლება და შეძლებთ დარეგისტრირდეთ, როგორც მეცნიერი.

5. როგორ მოვიქცეთ, თუ პირად account-ში შესვლის შემდეგ ჩანს ცარიელი ადგილი?

*საიტის მარცხენა მხარეს არის მენიუ, ჩამოშალეთ პროფილი და დააწექით ჩამოშლილ პროფილს, შემდეგ დაელოდეთ და გაიხსნება თქვენი CV შესავსებად.

იგივე მოქმედებით შეგიძლიათ ჩამოშალოთ კონკურსები აირჩიოთ თქვენთვის სასურველი კონკურსი და დაიწყოთ შევსება.

6. როგორ მოვიქცეთ, თუ კონკურსის „ზოგადი ინფორმაციის“ ველში არ იცვლება მონაცემები?

*ასეთ შემთხვევაში უნდა გაწმინდოთ ბრაუზერის ქეში (*Ctrl+Shift+Delete კომბინაციის საშუალებით*) ან სცადოთ სხვა ბრაუზერიდან/კომპიუტერიდან შესვლა.

7. როგორ მოვიქცეთ, თუ ცხრილში რაიმე მონაცემის დამატებისას (მაგ: ძირითად პერსონალში), სისტემა უთითებს Error 400 ან 404-ს?

*ასეთ შემთხვევაში უნდა გაწმინდოთ ბრაუზერის ქეში (*Ctrl+Shift+Delete კომბინაციის საშუალებით*) ან სცადოთ სხვა ბრაუზერიდან.

8. როგორ მოვიქცეთ, თუ ცხრილში რაიმე მონაცემის დამატებისას (მაგ: ძირითად პერსონალში) სისტემას გამოაქვს შეტყობინება - **“Can't save in old data format”** ?

*ასეთ შემთხვევაში უნდა განაახლოთ გვერდი (*თავიდან შედით შედით თქვენს account-ში*).

9. როგორ მოვიქცეთ, თუ პროექტის რეგისტრაციის დასრულების და „Submit“ ღილაკის გამოყენების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პროექტი არ დაექვემდებარა „Submit“ ფუნქციას და არ ჩაითვალა კონკურსზე რეგისტრირებულად?

*Submit ღილაკზე დაჭერისას პროგრამა ამოწმებს ყველა აუცილებელ ველს და ყველა ტექნიკურ შეზღუდვას, რომელიც უნდა დაგეცვათ პირობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სწორად გაქვთ შევსებული ყველა აუცილებელი ველი და დაცული გაქვთ ყველა შეზღუდვა, მაშინ აუცილებლად დაექვემდებარება „Submit“ ფუნქციას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოგიგდებთ შეცდომებს, რომლებიც განთავსდება პროექტის ზედა ნაწილში წითლად და პროექტი საბოლოო რეგისტრაციას არ გაივლის იქამდე, სანამ ყველა შეცდომა არ იქნება გასწორებული.

10. საჭიროა თუ არა კონკურსში „Submit“ ფუნქციის გამოყენების შემდეგ პროექტის გადამოწმება ფონდის მიერ?

*„Submit“ ღილაკის გამოყენების შემდეგ პროექტი აღარ საჭიროებს ფონდის მიერ გადამოწმებას. პროექტი საბოლოოდ რეგისტრირებულად და კონკურსში წარდგენილად ითვლება, თუ ყველა შესავსები ველი დაბლოკილია და ველარ შეგაქვთ ცვლილებები, გამქრალია Save და Submit ღილაკები და ჩანს Print ღილაკი. ასევე ღილაკების გასწვრივ წერია ტექსტი: **Your personal data waiting for progres.**

11. როგორ არის შესაძლებელი გეგმა-გრაფიკში აქტივობების დამატება?

*პირველ რიგში, დაამატეთ ამოცანა ზედა მწვანე პლიუს ღილაკით, ამოცანის დამატების შემდეგ, ამოცანის მარცხენა მხარეს გაჩნდება წითელი პლიუს ღილაკი. ამ ღილაკზე დაჭერის შემდეგ მოხვდებით ქვე ამოცანის (აქტივობის) დამატების გვერდზე.

12. როგორ მოვიქცეთ, თუ გეგმა-გრაფიკში არ ჩანს დამატებული აქტივობები?

*იმ შემთხვევაში, თუ ამოცანას აქვს აქტივობები, ამ ამოცანის მარცხენა მხარეს გაჩნდება შავი მკრთალი პლიუს ღილაკი, ამ ღილაკზე დაჭერის შემდეგ ჩამოიშლება კონკრეტული ამოცანის ყველა აქტივობა.

13. თუ ორგანიზაცია რეგისტრირებულია, მაგრამ ფონდიდან არ არის მიღებული დასტური, უშლის თუ არა ეს ხელს ამ ორგანიზაციის სახელით პროექტების რეგისტრაციას?

*ეს არანაირ პრობლემას არ უქმნის პროექტის რეგისტრაციას. ორგანიზაციის სახელით შემოსული პროექტების დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია კონკურსის დასრულების შემდეგაც.

14. როგორ ჩამოვტვირთო ფონდის კანცელარიაში წარსადგენი საკონკურსო განცხადება?

*პროექტის სრულყოფილად რეგისტრაციის შემდგომ, ღილაკების ადგილას გაჩნდება Print ღილაკი, ამ ღილაკის საშუალებით ჩამოტვირთავთ განცხადებას.

15. როგორ მოვიქცეთ, თუ კონკურსში საბოლოო რეგისტრაციის შემდეგ პროექტში აღმოჩნდა შეცდომა?

*იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში პროექტების მიღების ვადა არ არის დასრულებული, დაუკავშირდით ფონდს და ტექნოლოგიური განვითარების სამსახურის თანამშრომლების დახმარებით შესაძლებელი იქნება ცვლილების შეტანა პროექტში.